

მე-11-12

1. A არის 2-ის ჯერად ციფრთა სიმრავლე. B არის 7-ის ჯერად რიცხვთა სიმრავლე. რამდენ ელემენტია $(A \cap B)$ -ში?

- A. ცარიელი B. 2 C. უამრავი

2. წრეწირში ჩახაზული კუთხის სიდიდე 40 გრადუსის ტოლია (კუთხის წვერო ზუსტად წრის წირს ეხება) იპოვეთ წრეწირის სიგრძე თუ ამ კუთხიდან დაშვებული მონაკვეთებით შექმნილი რკალის სიგრძე 6 სანტიმეტრია.

- A. 27 სანტიმეტრი B. 30 სანტიმეტრი C. 40 სანტიმეტრი

3. ორნიშნა რიცხვთა სიმრავლიდან შემთხვევით რომელიღაც ორ რიცხვს ვირჩევთ, რა არის ალბათობა იმისა რომ ამორჩეულ რიცხვში ათეულისა და ერთეულის ციფრები ერთმანეთს ემთხვევა?

- A. $1/10$ B. $2/5$ C. $1/2$

4. გამოთვალეთ $1/2 - 5/7 =$

- A. $4/5$ B. $-3/14$ C. არც ერთი

5. მოცემულია სამკუთხედი გვერდების სიგრძეებით: 4,5,6 რისი ტოლია ამ სამკუთხედის უმცირესი კუთხის კოსინუსი?

- A. $1/8$ B. $1/2$ C. $3/4$

6. $B = (3^4)^5$, $C = (4^4)^4$, $K = (5^4)^3$. დაალაგეთ ეს რიცხვები მცირედან დიდისაკენ:

A. $B < C < K$

B. $B < K < C$

C. $K < B < C$

7. წესიერ ექვსკუთხედსა და ტოლგვერდა სამკუთხედს ერთი და იგივე პერიმეტრი აქვთ. რისი ტოლია თანაფარდობა: ფართობი ექვსკუთხედი: ფართობი სამკუთხედი?

A. 2:3

B. 1:1

C. 3:2

8. რიცხვი $K^2 + 21$ მთელი რიცხვის კვადრატია. რამდენი დადებითი მთელი K -ისათვისაა ეს მოცემულობა ჭეშმარიტი?

A. 0

B. 1

C. 2


9. ტურნირზე არის 9 ადამიანი. შესვლისას რამდენიმე ერთმანეთს ჩამოართვა ხელი. ლაშაც ტურნირზეა და ეკითხება ყველა დანარჩენს რამდენ-რამდენ ადამიანს ჩამოართვეს ხელი. ის 8 განსხვავებულ პასუხს ისმენს. მათგან ვიცით, რომ არავინ არ ტყუის. რამდენ ადამიანს ჩამოართვა ხელი ლაშამ?

A. 1

B. 3

C. 4

10.



დააკვირდით ნახაზს, თუ გავაგრძელებთ კვადრატებისა და წესიერი ხუთკუთხედების ამგვარად ხატვას შეერთდება თუ არა ზუსტად ბოლო ფიგურა პირველთან? თუ კი, რამდენი ხუთკუთხედი დაგვჭირდება?

A. 9

B. 10

C. ვერ შეერთდება